



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
12.03.2018
დასკვნის წარდგენის თარიღი
23.05.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მიკრობიოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიოლოგიის დოქტორი 0504
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული, აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #50, 27.02.2013)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბესარიონ ლასარეიშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა „მიკრობიოლოგია“ შემუშავებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე. პროგრამის მიზანია სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სანიტარიული და ეკოლოგიური მიკრობიოლოგიის სფეროში გათვითცნობიერებული სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შემდგომ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ამ მიმართულებების განვითარებას დაუკავშირებენ. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი) და მოცულობა 180 კრედიტით (60 სასწავლო, ხოლო 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი) განისაზღვრება.

პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება **ბიოლოგიის დოქტორის** კვალიფიკაცია.

პროგრამა უზრუნველყოფილია გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაზე, ბიბლიოთეკით, ელექტრონული რესურსებით, სააუდიტორიო სივრცითა და კომპიუტერული რესურსებით. პროგრამაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა ფინანსდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ბიუჯეტით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 12 მარტს (ცენტრის დირექტორის ბრძანება 02.03.2018, №158). მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამასთან ზმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს, გაეცნო კურსდამთავრებულების მიერ შესრულებულ სადოქტორო ნაშრომებს.

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა.

- პროგრამა აკმაყოფილებს სამი სტანდარტის (მე-2, მე-3, მე-5) ძირითად მოთხოვნებს და ნაწილობრივ შესაბამისობაშია მე-4 სტანდარტის მოთხოვნებთან და არ არის შესაბამისობაში პირველ სტანდარტთან. ცალკეულ სტანდარტებში მოცემული გვაქვს რეკომენდაციები და

რჩევები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია პროგრამის შედეგების წარმატებული მიღწევისთვის.

▪ რეკომენდაციები

აკრედიტაციის ექსპერტთა ძირითადი რჩევები და რეკომენდაციები შეეხებოდა: 1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას და 2. სასწავლო კომპონენტებს (სილაბუსებს - ლიტერატურის წყაროებს, თემატიკის არათანმიმდევრულობას და მნიშვნელოვან გადაფარვებს სხვადასხვა საგნების თემატიკებში, საგნების კრედიტების შეუსაბამო მოცულობებს, თემატიკებს, რომელთა ცოდნა არ სჭირდებათ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს. ...).

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (1. ლამინარ ბოქსის, 2. ბიოუსაფრთხოების კაბინეტის; 2. მიკროტალღოვანი ელექტროლუმელის შეძენა, 3. მაღალი ტემპერატურისა და სპეციალური ქიმიური რეაქტივებისადმი გამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის, 4. მაღალსიჩქარიანი ცენტრიფუგის, 5. გამართული სინათლის და ლუმინესცენტური მიკროსკოპების შეძენა).

2. წყაროებად მიეთითოს ბოლო წლებში (თუნდაც ბოლო 5-7 წლის) გამოცემული წყაროები. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ სილაბუსებში მითითებული ავტორების/სახელმძღვანელოების რამდენჯერმე განახლებული გამოცემებიც არსებობს.

3. გადაიხედოს და განახლდეს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სილაბუსებში მითითებულია ახალი ქართული გამოცემები, რომლებიც თავისი შინაარსით მოცულობით და დანიშნულებით საბაკალავრო პროგრამებისთვისაა გათვლილი.

ამავე დროს, სილაბუსში მითითებული ძირითად ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომი დოქტორანტისთვის.

4. სილაბუსებში თემები დალაგდეს ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც საგნის გაიოლებული ათვისების საშუალებას მისცემს დოქტორანტებს. სილაბუსებში სალექციო და სასემინარო თემები სინქრონში იქნეს მოყვანილი.

5. ცალკეულ საგნებზე გონივრულად შეიკვეცოს კრედიტების მოცულობა.

6. თემების განმეორებადობას და გადაფარვებს სხვადასხვა საგნებში მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და აღმოიფხვრას.

7. სპეციალობის საგნების შინაარსი არ შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს სადოქტორო საფეხურის დონეს. სასწავლო პროგრამაში ბაზისური მიკრობიოლოგიის საგნების მაგივრად, რომლებიც სწავლების წინა საფეხურებზე აქვთ გავლილი სტუდენტებს, შეტანილ უნდა იქნას მიკრობიოლოგიის სპეც. კურსები მაგ. ნიადაგის მიკრობიოლოგია, ტექნიკური მიკრობიოლოგია, ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია და მიკრობთა როლი ბიორემედიაციაში, ეკოლოგიური მიკრობიოლოგია, მიკრობთა ბიოტექნოლოგია, სანიტარიული და კვების მიკრობიოლოგია და სხვ.).)

8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა პროგრამების ხელმძღვანელებთან და ჩართვა პროგრამების კურიკულუმებისა და სილაბუსების შექმნის (განახლების) პროცესში და მათი მოყვანა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებული სხვადასხვა ტიპის კვლევების გამოყენება პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდაება, თუნდაც კურსდამთავრებულების პროგრამის განხორციელებაში მიწვევით და ჩართვით.
2. პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის საერთაშორისო პროექტების, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული პროექტების მოპოვებაზე მუშაობა.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში) - არ არის

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - არსებითად გასული აკრედიტაციისას

გამოვლენილი პრობლემები მიმდინარე პერიოდშიც არ არის გამოსწორებული.

▪ 2013 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია „სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია ერთ ან ორი რუსულენოვანი სახელმძღვანელო. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს აღნიშნული ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები რუსულ ენაზე, თუმცა სასურველია გაიზარდოს ლიტერატურის ჩამონათვალი. მით უმეტეს როცა საქმე ეხება სადოქტორო პროგრამას. ასევე აუცილებელია არსებული ლიტერატურა ითარგმნოს ქართულ ენაზე, რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ხოლო რუსულენოვანი ლიტერატურის წაკითხვა ნებისმიერი დოქტორანტისთვის არ იქნება მარტივი“. რა შეიცვალა – სილაბუსების უმეტესობაში ლიტერატურის ჩამონათვალი არ არის ვრცელი, ისევ შეტანილია მოძველებული რუსულენოვანი ლიტერატურა (უმეტესწილად 80-90-იან წლებში გამოცემული), ვერ რომელიმე სახელმძღვანელოს თარგმანი. პროგრამაზე მიღების წინაპირობა გახდა ინგლისური ენის ან რუსული ენის (ერთ-ერთის) B2 დონეზე ცოდნა.

▪ იყო რეკომენდაცია კრედიტების განაწილების შესახებ – „პროგრამაში სავალდებულო დისციპლინებზე „თანამედროვე მიკრობიოლოგია“ და „მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები“ 18 და 12 კრედიტია გათვალისწინებული, ხოლო რაც შეეხება პროფესორის ასისტირებას და სემინარებს 3–3 კრედიტი, შესაბამისად სასურველია გადაიხედოს კრედიტების განაწილების საკითხი და გაიზარდოს პროფესორის ასისტირებისა და სემინარების კრედიტების რაოდენობა“. რა შეიცვალა – „თანამედროვე მიკრობიოლოგია“ 18 კრედიტის ნაცვლად გახდა 12 კრედიტი და მოკლებული 6 კრედიტი დაემატა პროფესორის ასისტირებას და გახდა 9 კრედიტი. „მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები“ დარჩა 12 კრედიტი, ხოლო სემინარების 3–3 კრედიტი.

▪ რეკომენდაცია იყო გაცემული „აკადემიური წერის“ სილაბუსში შეფასებასთან დაკავშირებით. ისევ რჩება შენიშვნა შუალედური გამოცდაზე 5 ქულიანი საწერი საკითხისა და დასკვნით გამოცდაზე 10 ქულიანი საწერი საკითხის შეფასების რუბრიკა ერთიდაიგივეა.

▪ გაცემული რეკომენდაციებიდან გასწორდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დავალების ფორმა. ის გახდა კომბინირებული (ტესტი და საკითხი) და აღარ არის მხოლოდ ტესტი ან საკითხი.

▪ იყო რეკომენდაცია – „შეუძლებელია ყველა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსს აბსოლუტურად იდენტური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კომუნიკაციის უნარი, დასკვნის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები ჰქონდეს. აუცილებელია მათი ჩამოყალიბება თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (განსაკუთრებით ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი)“. შეიცვალა – სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნები გადის მხოლოდ ორ შედეგზე ცოდნა და გაცნობიერება, დასკვნის უნარი, მხოლოდ ერთი საგანი ავითარებს ცოდნის პრაქტიკაში

გამოყენების უნარს (არა და არსებული სასწავლო კურსების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი მომავალი მეცნიერისთვის პროფესიული წინსვლის საწინდარია).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

სპეციალობის საგნები ზოგადი/ ბაზისური შინაარსის კურსებს წარმოადგენს, რაც შეიძლება სწავლების წინა ეტაპებზე ჰქონდეთ ათვისებული სტუდენტებს; ამდენად, სპეციალობის საგნების შინაარსი არ შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს სადოქტორო საფეხურის დონეს. პროგრამის მიზნების თანახმად აუცილებელია პროგრამაში შეიტანონ შემდეგი სასწავლო კურსები (მაგ. ნიადაგის მიკრობიოლოგია, ტექნიკური მიკრობიოლოგია, ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია და მიკრობთა როლი ბიორემედიაციაში, ეკოლოგიური მიკრობიოლოგია, მიკრობთა ბიოტექნოლოგია, კვების მიკრობიოლოგია და სხვ.).

სპეციალობის საგნების სილაბუსებში ყველგან მითითებულია საკმაოდ მოძველებული, ძირითადად რუსულენოვანი წყაროები. პრობლემა ისაა, რომ მიკრობიოლოგიის სფერო, სწრაფი ტემპით პროგრესირებად მეცნიერებას წარმოადგენს. ამიტომაც, არსებითად კურსების ათვისებაში ახალი ლიტერატურის მითითება. მით უფრო, რომ შესაბამის საგნებში არსებობს ბოლო წლებში გამოცემული, შესანიშნავი ინგლისური და რუსულენოვანი სახელმძღვანელოები. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ თავად პროგრამის სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი სახელმძღვანელოს მრავალჯერ განახლებული გამოცემაც არსებობს.

გარკვეულ საგნებს (მეთოდების კურსებს) 12 კრედიტი აქვს დათმობილი, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად აღემატება შესაბამისი საგნის ასათვისებლად აუცილებელ დროს. ამ საგნების სილაბუსებში არ არის გათვალისწინებული კრეატიული დავალებები და სამუშაოები, რაც სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას საჭიროებს. ძირითადი უნარები კი დოქტორანტებს მეთოდების ხელით შესრულებისას უნდა გამოუმუშავდეთ. არც რთული თეორიების ათვისება არ უწევთ სტუდენტებს მეთოდების კურსების ფარგლებში. გამომდინარე აქედან, გაუგებარია, არასაკონტაქტო (დამოუკიდებლად მუშაობის) საათებს რატომ აქვს არაგონივრულად დიდი მოცულობა დათმობილი.

პროგრამაში ჩართული სავალდებულო საგნების სილაბუსებში აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი გადაფარვა და თემების განმეორებადობა, რაც დოქტორანტთა დროის არაეკონომიურ ხარჯვის და შესაძლოა მათი ინტერესის შემცირების საფუძველი გახდეს.

ზოგიერთ სილაბუსში ყურადღებას იპყრობს ისეთი საკითხები, რაც მეტად ფუნდამენტურია (უნდა იქოდნენ ზოგადი ბიოლოგიის და ბიოქიმიის საბაკალავრო კურსებიდან) და შესაძლოა სტუდენტებს სწავლების პირველ საფეხურზეც ჰქონდეთ გავლილი. სპეციალობის საგნების შინაარსი არ შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს სადოქტორო საფეხურის დონეს.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა გახდეს მეცნიერების და სწავლის ძლიერი ცენტრი, რომელიც აღზრდის თანამედროვე ცოდნით შეიარაღებულ, კონკურენტუნარიან

სპეციალისტებს მოამზადებს, რომელთა ცოდნა და გამოცდილება შეესაბამება თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს:

- მიკროორგანიზმთა ბიოლოგიის, სისტემატიკის, მათ შორის ქემოტაქსონომიის საკითხების შესწავლა.
- მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის მნიშვნელოვანი ნივთიერებების პროდუცენტი მიკროორგანიზმების გამოყოფა, იდენტიფიცირება, მათი ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, მუტაგენუზის საფუძველზე ახალი, მიზნობრივი პროდუქტების უფრო მაღალი გამოსავლიანობის მქონე შტამების მიღება და სელექცია, მათ საფუძველზე ახალი საწარმოო ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა;
- წიადაგების ნაყოფიერების პრობლემა, მასში ნივთიერებათა ბიოგენური წრებრუნვა, მიკრობული სასუქების წარმოება, ამ პროცესებში მონაწილე მიკროორგანიზმის ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, მათი მიზანმიმართული მართვის გზების შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება.
- გარემოში ქსენობიოტიკების უტილიზაცია და ნავთობით გაჭუჭყიანების პრობლემა, პესტიციდებითა და ჰერბიციდებით გარემოსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაბინძურების შემცირების გზები, მათი ბიოდეგრადაციის უნარის მქონე მიკროორგანიზმების გავრცელებისა და ცხოველქმედების, ასეთი მიკროორგანიზმების გამოყოფის, მათი ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის სპეციფიკის და აღნიშნულ არეალებში მათი აქტივობისა და რაოდენობრიობის მიზანმიმართულად მართვის საშუალებების შესწავლა.
- გეოქიმიური აქტივობის მქონე მიკროორგანიზმების ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის შესწავლა, გამოყოფა და სელექცია, მათი საშუალებით ღარიბი ქანებიდან ადამიანისათვის საჭირო მინერალების, მათ შორის ოქროს, სპილენძის, ნიკელის, ალუმინის და სხვათა გამოტუტვის ტექნოლოგიების ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება.
- ნაგავსაყრელებიდან, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის ნარჩენებიდან ბიოგაზის წარმოება, ჩამდინარე წყლების გასუფთავება, მიღებული ბიომასიდან ცხოველებისა და თევზებისათვის ცილოვანი საკვები კონცენტრატებისა და სასუქების მიღება, ასეთ პროცესებში მონაწილე მიკროორგანიზმთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, გამოყენებული ტექნოლოგიების შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება.
- საკვები პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების, სასმელების და სხვათა მიკრობიოლოგიური წარმოების ტექნოლოგიურ სქემების, პროცესებში მონაწილე მიკროორგანიზმების ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, საწარმოო შტამების ბიოსინთეზური აქტივობის შენარჩუნების, მიზნობრივი პროდუქტის რაოდენობისა და ხარისხის მიკრობიოლოგიური მართვის, ახალი პროდუცენტული შტამების სელექციის, წარმოების ეკონომიკური გამოსავლიანობის გაზრდის შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება.
- კვების პროდუქტების, სასმელი და სარეკრეაციო წყლების, სახალხო მოხმარების შენობა – ნაგებობებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების მიკრობიოლოგიური ექსპერტიზისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლი.
- სამშენებლო მასალისა და ნაკეთობების, ისტორიული ძეგლების, სამუზეუმო ექსპონატების, ჰიდრონაგებობების, ნავთობ- და გაზსადენების დესტრუქციასა და ამორტიზაციაში მონაწილე მიკროორგანიზმების გამოვლენა, მუდმივი მონიტორინგის გზების, მათი გამოყოფა – იდენტიფიკაციის, ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, ტოქსინების იდენტიფიკაციის, ობიექტების მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკის გზების, მათზე მიკროორგანიზმებთან ეფექტური ბრძოლის

მეთოდების შემუშავებისა და აღნიშნული ობიექტების შენახვისა თუ ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივების საშუალებების შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება.

- ტოქსინწარმოქმნელი ბაქტერიების ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, მათი და მათ მიერ წარმოქმნილი ტოქსინების სწრაფი იდენტიფიცირების საშუალებების, დეტოქსიკაციის მეთოდების ათვისება და პრაქტიკაში დანერგვა და სხვა.

უნივერსიტეტის რექტორმა ხაზი გაუსვა, რომ მეცნიერებისა და სწავლების საფუძველზე შემღებენ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის საგანმანათლებლო პროგრამებზე მოზიდვას, რითაც გარკვეულ წვლილს შეიტანენ ინტეგრაციის და ტერიტორიების მშვიდობიანი და ნებაყოფლობითი გზით დაბრუნების პროცესში.

დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დასაქმების სამსახური მოიცავს შემდეგს:

- უმაღლესი სასწავლებლები;
- ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- კვლევითი ინსტიტუტები;
- ბოტანიკური ბაღები, ნაკრძალები, აღკვეთილები და სხვა დაცული ტერიტორიები;
- გარემოს დაცვის, საკვები პროდუქტებისა და გარემოს უსაფრთხოების სფეროებში მომუშავე არასამთავრობო, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები;
- ფარმაცევტული, კვების მრეწველობის კერძო საწარმოები;
- გამწვანებასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე მომუშავე ცენტრალური და მუნიციპალური ორგანოები;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები;
- ტურისტული და დასვენების ინფრასტრუქტურის შექმნის სფეროში დასაქმებული ფირმები და ორგანიზაციები და სხვა.

თუ მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანს გადავხედავთ, ის შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, და ორიენტირებულია მაღალინფორმაციული მიდგომების გამოყენებით მოამზადოს პროგრესული მკვლევარები, რომლებიც მზად იქნებიან წარმატებული კარიერისთვის უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ცენტრებსა და ინდუსტრიაში. ამდენად, პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოხდება ტექნიკური, სოფლის-მეურნეობის და ეკოლოგიური მიკრობიოლოგიის სფეროებში ახალი ცოდნის გენერირება და მათი გამოყენება პრაქტიკაში.

პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ერთის მხრივ, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში (რადიოლოგიის ლაბორატორია) და მეორეს მხრივ, სოფლის მეურნეობის-სამინისტროს ლაბორატორიებს შორის. პროგრამის ხელმძღვანელებისგან შევიტყვეთ, რომ მათ მემორანდუმები გაფორმებული აქვთ ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან და ილიას უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტთან, თუმცა მათ წარმომადგენლებთან ჩვენი შეხვედრა არ შემდგარა. სამწუხაროა, რომ არ იყო ორგანიზებული ექსპერტთა ჯგუფთან ბოტანიკის ინსტიტუტის წარმომადგენლების შეხვედრა, რომლებიც პროგრამის სპეციალიზაციის ყველაზე

შესაფერის პარტნიორებს წარმოადგენენ (როგორც პროგრამის ხელმძღვანელებისგან შევიტყვეთ). მათთან შეხვედრა გაგვარკვევდა არსებული თანამშრომლობის წარმატებულობასა და შინაარსში.

პოტენციურ დამსაქმებლებთან (ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიოლოგიის ლაბორატორიიდან და სოფლის მეურნეობის-სამინისტროს საკვები პროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორიიდან) შეხვედრის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროგრამა არასაკმარისადაა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რადგანაც პროგრამის შექმნასა და მის განვითარებაში არ დასტურდება დამსაქმებლების ჩართულობა. ისინი არ იცნობენ პროგრამის შინაარსს და მათ არ ეკითხებიან რჩევებს პროგრამის განვითარებასთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას მემორანდუმი გაფორმებული აქვს 4 სამეცნიერო დაწესებულებასთან, მაინც გვიჩნდება უკმარისობის გრძნობა, თუ რამდენად საკმარისად თანამშრომლობენ ისინი შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციის დაწესებულებებთან (კომპანიებთან და საწარმოებთან), რომლებიც გადაფარავენ მათი პროგრამის მიზნების თუნდაც ნახევარს.

ამავე დროს ეჭვი გვიჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დააკმაყოფილებს წარმოდგენილი პროგრამის დოქტორანტურის კურსდამთავრებულები დასაქმების ბაზარს და რამდენად მიღწევადია მათი მიზნები, იმ პირობებში, როდესაც პროგრამის ფარგლებში დოქტორანტები ითვისებენ: მხოლოდ საბაზისო მიკრობიოლოგიის კურსებს (რომელთა ნაწილის შინაარსი საბაკალავრო დონეს შეესაბამება); არ გადიან სპეციალიზებულ (პროგრამის მიზნების შესატყვის) კურსებს; არ აქვთ საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არანაირი საგრანტო დაფინანსება (პროგრამის შექმნიდან დღემდე).

თუმცა, აქვე ავლნიშნავთ, რომ სადოქტორო პროგრამას, მხარდაჭერას უცხადებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აპირებს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელებთან, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის შინაარსის განვითარებაში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პირდაპირი სპეციალიზაციის კომპანიებთან და საწარმოებთან თანამშრომლობის განვითარება, რომლებიც გამოყენებით-პრაქტიკულ სამუშაოებსა და სერვისებს ანხორციელებენ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ არ არის
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა „მიკრობიოლოგია“ მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც შედგება ორი საგანმანათლებლო კომპონენტისგან – 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი და 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი თავის მხრივ მოიცავს საუნივერსიტეტო სავალდებულო 24 კრედიტს (სწავლების თანამედროვე მეთოდები 6; დოქტორანტის სემინარი 6; პროფესორის ასისტენტობა 9; აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით 3) და 36 პროფესიულ კრედიტს, რომელიც მოიცავს დარგობრივ სავალდებულო და არჩევით (12 კრედიტი) კურსებს. კრედიტების მოცულობა უმრავლეს საგანზე ერთგვაროვანია, არ არსებობს კრედიტების მინიჭების წესი და არ ხდება პედაგოგის მიერ საგნის მოცულობის, სირთულის, თავისებურებების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით კრედიტის განსაზღვრა. პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები (უმეტესი საგნის სწავლის შედეგი გადის 2 უნარზე - ცოდნა და გაცნობიერება; დასკვნის უნარი) სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ სადოქტორო პროგრამა ☐ სილაბუსები ☐ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება ☐ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

1. გადახედონ თითოეული დისციპლინის კრედიტების მოცულობებს და გონივრულად შეუსაბამონ კურსის შინაარსს და მოცულობას;
2. 12 კრედიტიანი სასწავლო კურსები გაანახევრონ, რაც უფრო რაციონალურად ასახავს შესაბამისი კურსების მოცულობას;
3. გადახედონ საგნების სწავლის შედეგებს (განსაკუთრებით ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომჟღავნების აუცილებლობას).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ☐ არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ☐ არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი კრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ☐ არ არის

შეფასება

☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვლევებით მიღებული მონაცემების დამუშავებისთვის დოქტორანტი უნდა ფლობდეს შედეგების სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს. ასეთი კომპეტენციის შეძენის შესაძლებლობა პროგრამაში გათვალისწინებული არაა. სასწავლო კურსების შინაარსი არ შეესაბამება სწავლის წინამდებარე საფეხურს; სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არის მოძველებული. ინგლისურ და რუსულ ენებზე არსებობს უხვი ლიტერატურა, გამოცემული ბოლო წლებში. ახალი ქართულენოვანი ლიტერატურის შინაარსი, მოცულობა და დანიშნულება შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და საბაკალავრო პროგრამებზე გამოიყენება.

პროგრამის ფარგლებში დაცულია 2 სადისერტაციო ნაშრომი, რომლებიც მთლიანად არის

შესრულებული სხვა დაწესებულებაში.

ყოველივე იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო კურსების შინაარსი არ შეესაბამება სწავლის აღნიშნულ საფეხურს, მითითებული ლიტერატურა არის მნიშვნელოვნად მოძველებული, აგრეთვე დაცული დისერტაციები არ შეესაბამება პროგრამის მისიას და მათ შესრულებაში არანაირი წვლილი არ აქვს შეტანილი პროგრამის მესვეურებს და ბაზას, შთაბეჭდილება გვექმნება, რომ წინამდებარე პროგრამა წარმატებულად ვერ უზრუნველყოფს სწავლის დასახულ მიზნებსა და შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სადოქტორო პროგრამა
- o ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- o სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

- 1.სავალდებულო და არჩევითი სპეც კურსების (მაგ. რამოდენიმე მათგანის მაინც, როგორცაა ნიადაგის მიკრობიოლოგია, ტექნიკური მიკრობიოლოგია, ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია და მიკრობთა როლი ბიორემედიაციაში, ეკოლოგიური მიკრობიოლოგია, მიკრობთა ბიოტექნოლოგია, კვების მიკრობიოლოგია და სხვ.) შექმნა, რომელიც შეესაბამება პროგრამის ძირითად მიზნებს მიმართულს კვლევა-ძიების განვითარებაზე ეკოლოგიურ მიკრობიოლოგიაში, ტექნიკურ, სანიტარულ და სოფლის-მეურნეობის მიკრობიოლოგიაში.
2. პროგრამაში დამატებულ იქნას „სტატისტიკის“ კურსი;
- 3.წარმოდგენილ იქნას „ზოგადი მიკრობიოლოგიის“ არჩევითი კურსი, რომლის გავლის შესაძლებლობა ექნება სხვა სფეროდან მოცემულ პროგრამაზე მოსულ დოქტორანტს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o არ არის

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა წარმოდგენილი სახით ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.

თუმცა, სადოქტორო პროგრამის კომპონენტი – ასისტირება უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. ეს კომპონენტი ემსახურება სწავლებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას და მისი გავლა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის უნარების განვითარებას შესაბამისი მიმართულებით პედაგოგიური მოდვანების სფეროში.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება იმუშაოს: უმაღლეს სასწავლებლებში და კვლევით ინსტიტუტებში, სადაც შესძლებს პროფესიული უნარების შემდგომ განვითარებას. თუმცა პროგრამის უმთავრეს მიზანს, კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ და გამოყენებით სფეროებში ჩართულობაა.

სასწავლო დისციპლინების სილაბუსებიდან ჩანს, რომ ისინი მხოლოდ 2 უნარს უნვითარებს დოქტორანტს. პრაქტიკულად ყველა სპეციალობის საგნის სილაბუსში საგანი ერთი და იმავე შედეგზე გადის. დოქტორანტურის კურსდამთავრებულისთვის და მომავალი მეცნიერისთვის კი განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას.

დოქტორანტებისთვის განვითარებისთვის ძალიან ეფექტურია ისეთი დავალებების მიცემა, რაც მათ აზროვნებას, მსჯელობის უნარებს, კრეატიულ აზროვნებას განავითარებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად ეფექტურია უახლესი პუბლიკაციების გარჩევა და ჯგუფური განხილვა. ამგვარი აქტივობები პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებული არაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- პროგრამის სპეციალისებული საგნებისთვის უნდა გადაიხედოს სწავლების შედეგები
- ამ პროფილის სტუდენტებს არ ესაჭიროებათ იმუნოლოგია, მით უფრო რომ სილაბუსის შინაარსი შეესაბამება კლინიკურ იმუნოლოგიას (რაც კლინიცისტი ექიმების პრერეკვაზიტია...) და თემატიკები სრულყოფილად არაა გაწერილი
- გადაიხედოს ყველა სპეციალური საგნის სილაბუსის თემატიკები, გასწორდეს მათი თანმიმდევრობა, ამოღებულ იქნას ის თემატიკები, რომლებიც სხვა საგნის სილაბუსის თემებთან სრულ გადაფარვაშია, ამოღებულ იქნას ძალიან ბაზისური, საბაკალავრო დონის შესაბამისი თემატიკები, სინქრონიზაციაში იქნას მოყვანილი ზოგიერთი საგნის სალექციო და სასემინარო თემატიკები
- სწავლების პროცესში ჩართულ იქნას მაქსიმალურად განახლებული ლიტერატურული წყაროები
- სწავლებაში გათვალისწინებულ იქნას ისეთი დავალებები, რაც სტუდენტების

კრეატიულ აქტივობას გაზრდის ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ დასაქმების სფეროს გასაზრდელად, კარგი იქნება პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის პროგრამაში ჩართულ პოტენციურ დამსაქმებელთა (გამოყენებითი სფეროები, სხვადასხვა კომპანიები, ქარხნები და საწარმოები) სფეროს გაფართოება და მათთან მემორანდუმების გაფორმება, დამსაქმებლების აქტიური ჩართვა პროგრამის გაუმჯობესებაში ○ სილაბუსებში გათვალისწინებულ იქნას პრეზენტაციების მომზადება და მოხსენება „ჟურნალ-კლუბის“ ფარგლებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დამსაქმებელთა შორის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის და სოფლის-მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ლაბორატორიის წარმომადგენლებს. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებისგან გავიგეთ, მათ მემორანდუმები აგრეთვე გაფორმებული აქვთ 2 სხვა სამეცნიერო ინსტიტუტთან - ბოტანიკის და ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტებთან. თუმცა, რადგანაც აღნიშნული ბაზების დასაქმების შესაძლებლობა და მოცულობა საკმაოდ ლიმიტირებულია. ამიტომ დასაქმების სფეროს გასაზრდელად, კარგი იქნება პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის პროგრამაში ჩართულ პოტენციურ დამსაქმებელთა სფეროს გაფართოება. პოტენციურ დამსაქმებლებთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ ისინი არ იცნობენ პროგრამის შინაარსს და ჩრთულები არ არიან პროგრამის განვითარებაში.

პროგრამის სტუდენტები მეტად მოტივირებულები არიან, რომ წარმატებით შეასრულონ და დაიცვან დისერტაცია. აქვთ გარკვეული მოსაზრებები პროგრამაში გარკვეული ცვლილებების აუცილებლობაზე. კერძოდ, თვლიან რომ მიკრობიოლოგიის ზოგადი შინაარსის კურსები, რომელიც სავალდებულო საგნების სახითაა წარმოდგენილი, არჩევითი უნდა იყოს. რამდენადაც, პროგრამაზე შემოსულ სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება აქვს მიკრობიოლოგიის სფეროში. გამომდინარე აქედან ჩანს, რომ სტუდენტები არ არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში. მათი შეხედულებები და მოსაზრებები გათვალისწინებული არაა.

სადოქტორო პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი კურსდამთავრებულების სადისერტაციო ნაშრომების თანახემდგანელია. თუმცა, ორივე ნაშრომი მთლიანად შესრულებულია ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე. ამ დისერტაციების შესრულებაში პროგრამის ხელმძღვანელები რეალურად ჩართულნი არ ყოფილან. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ორივე კურსდამთავრებულის სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია მიკრობიოლოგიის იმ საკითხებზე, რაც პროგრამის მიზნებს არ შეესაბამება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტურანტურის პროგრამა
- სილაბუსები
- გაფორმებული მემორანდუმები
- ინტერვიუ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელთან, ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შინაარსი გააცნონ დამსაქმებლებს
- დამსაქმებლები, დოქტურანტურის კურსდამთავრებულები და დოქტორანტები ჩართულ იქნას პროგრამის განვითარებაში, გათვალისწინებულ იქნას მათი მოსაზრებები და ხედვა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააფართოვონ დამსაქმებელთა წრე

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კანდიდატების მოზიდვასა და მათ ჩართვას პროგრამაში. სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცესი ითვალისწინებს შესაბამისი პროფილის და საფეხურის დიპლომის ქონას, გამოცდას უცხო ენაში და გასაუბრებას დარგობრივ კომისიასთან. - სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან კანდიდატები, რომელთაც აქვთ მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი საბუნებისმეტყველო, ჯანდაცვის და აგრარულ მეცნიერებებში. - სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა რუსულ ან ინგლისურ ენებში (B2 დონეზე). აქვე უნდა დავძინოთ, რომ ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროში მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მკვლევარი-მეცნიერების ჩამოყალიბებისთვის. მაღალ-იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალები ინგლისურ ენაზე გამოდის, რადგანაც მათ მკითხველთა დიდი წრე ყავთ. ასეთ ჟურნალებს მაღალი მოთხოვნები აქვთ. გამომდინარე აქედან, მათში დაბეჭდილი პუბლიკაციები სარწმუნო და ხარისხიანია. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, კონკურენტუნარიან მეცნიერად განვითარებისთვის

სტუდენტორანტს უნდა ქონდეს საკმარისი უნარები ინგლისურ ენაში, რომ როგორც მინიმუმ შეძლოს ინგლისურ ენაზე სათანადო სპეციალური ლიტერატურის მოპოვება, პუბლიკაციების წაკითხვა და დამუშავება, აგრეთვე უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაცია. ○ დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება ტარდება ბიოლოგიაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება ○ სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დოქტორანტურის სტუდენტებთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები: ○ შეიცვალოს პროგრამაზე სტუდენტების დაშვების წინაპირობები: მისაღებ გამოცდაზე უნდა მოითხოვონ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე, ან B1 დონე, რომელსაც ინგლისურის არჩევითი სასწავლო კურსების პროგრამაში ჩართვით აწევენ B2 დონემდე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია რაიმე სახით (გამოცდა ან/და სტატიის გარჩევა და მოხსენება) დოქტორანტურაში ჩამბარებული სტუდენტის პროფესიული ცოდნა და მისი შემდგომი გაღრმავების უნარები შემოწმდეს, რათა შეფასდეს სტუდენტის ცოდნის შესაბამისობის მზაობა ბიოლოგიის დარგში კვლევების განხორციელებაში ჩართვისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი/კრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მეცადინეოები ტარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, პრაქტიკული მეთოდები და სხვა. ყოველივე ერთად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებული სალექციო კურსები, რომლებიც წარმოადგენს საფუძველს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის, გამოიყენება პრაქტიკული და სასემინარო მეცადინეობებიც, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს შეძენილი თეორიული ცოდნის განმტკიცება და დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროგრამის ღირსებას წარმოადგენს ლაბორატორიული კურსების არსებობა. თუმცა აუცილებელია მასში სტუდენტების ჩართულობის წილის გაზრდა: საკონტაქტო საათების გაზრდა, სტუდენტები თავიანთი ხელით უნდა ასრულებდნენ ლაბორატორიულ სამუშაოებს, ეძლეოდეს დავალებები მიზნის დამოუკიდებლად მისაღწევად. ლაბორატორიულ კურსებს არ ესაჭიროება დამოუკიდებლად მუშაობის დიდი დრო (235 საათი, 65 საკონტაქტო საათის წინააღმდეგ). ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საგნების და მათი სილაბუსების შინაარსი, არსებული ხარვეზები გამორიცხავს მის შესაბამისობას სადოქტორო სწავლის საფეხურთან, საეჭვოა რამდენად აზრი აქვს სწავლების სწორი მეთოდების გამოყენებას შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასწავლო პროგრამაში გაიზარდოს ლაბორატორიული სასწავლო კურსების წილი, რომლებშიც სტუდენტები ორიენტირებული იქნებიან ლაბორატორიულ სამუშაოებზე და აითვისებენ დამატებით კვლევის მეთოდებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო კურსებს არა აქვს პრერეკვიზიტები.
- სასწავლო კომპონენტი, რომელიც 60 კრედიტითაა წარმოდგენილი და მოიცავს 5 სავალდებულო საგანს (სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიური წერა, პროფესორის ასისტენტობა, თანამედროვე მიკრობიოლოგია, მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები), 2 სემინარის ჩატარებას და 4 არჩევით საგანს (თანამედროვე ბიოტექნოლოგია, თანამედროვე მიკრობიოლოგია, თანამედროვე ვირუსოლოგია, თანამედროვე კვლევის მეთოდები, მოლეკულური მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია).
- კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტი სადოქტორო ნაშრომის შესრულებაზე, ნაშრომის წარდგენასა და დაცვაზეა განკუთვნილი. სადოქტორო ნაშრომი იქმნება სადოქტორო პროგრამის განმავლობაში და მისი მიზანია, გამოავლინოს დოქტორანტის მიერ უახლეს მიღწევებზე დამყარებული საკვლევო პრობლემის/საკითხის ცოდნა, მისი უნარი გააცნობიეროს ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობები და საკვლევო მიმართულებით არსებული ცოდნის გაფართოების პერსპექტივები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი კრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომოხილვა და ანალიზი

○ სადოქტორო პროგრამაზე სწავლებისას გამოიყენება განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი შეფასების 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა. უნივერსიტეტის მომქმედი შეფასების სისტემა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. აღნიშნული შიდა საუნივერსიტეტო აქტები პროგრამის განუყოფელი ნაწილია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

○ სტუდენტების შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, სადოქტორო პროგრამის შემადგენელი ყველა კომპონენტის ფარგლებში ხდება სტუდენტის მიღწევათა შეფასება. შეფასებისთვის გამოიყენება პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებთან ადაპტირებული მეთოდები.

○ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს რაც შეეხება, მას ადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო სახჭო. დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, საბოლოო შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ“ მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში შემავალი აკადემიური კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის პროფესორასთან, დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების,

ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს/კონცეფციებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები, კრიტერიუმები და მეთოდები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის სამსახურები დოქტორანტებს და დაინტერესებულ პირებს პირადი კომუნიკაციის საფუძველზე აწვდის საჭირო ინფორმაციას. დოქტორანტის სასემინარო აქტივობის შეფასება ხდება ღიად და გამჭვირვალედ. შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება წერითი ფორმით. მოქმედებს სააპელაციო სისტემა. ფაკულტეტზე მიმდინარეობს შეფასების შედეგების ანალიზი და განხილვა. ○ თითოეული კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციებში გაწერილია შეფასების კომპონენტები, შეფასების ძირითადი მეთოდები და თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები, რაც შეფასების პროცესს გამჭვირვალეს ხდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და დოქტორანტებთან
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისები შეფასების ადეკვატურობა	X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სასწავლო პროფილის განსაზღვრისა და შემდგომი კონსულტირებისთვის იყენებს რამდენიმე შესაძლებლობას. ვინაიდან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ არის ახალი და აკრედიტებულია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #50, 27.02.2013), ექპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ კურსდამთავრებულებს სტუდენტთა მიღწევებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის ობიექტურად შეფასების მიზნით.

სსუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტს პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერილობის (პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების მოცულობა, შეფასების წესი და სხვ.) და სტრუქტურის, საგნებზე დაშვების წინაპირობების, მათი კვირეული სააუდიტორიო დატვირთვის შესახებ პირველადი ინფორმაცია შეუძლია მოიპოვოს სსუ ვებ-გვერდზე, სადაც მითითებულია ასევე პროგრამის ხელმძღვანელები როგორც საკონტაქტო პირები. არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია. აღნიშნული დადასტურდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების პროცესშიც.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევას ასევე ემსახურება სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. მისი ფუნქციაა სტუდენტის კონსულტირება სხვადასხვა საკითხების ირგვლივ სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე: სტუდენტისთვის სხვადასხვა ტიპის ცნობების გაცემა, სტუდენტთა განცხადებების მიღება და მათზე რეაგირება (უკუკავშირი სტუდენტთან), სტუდენტთათვის სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების (კრედიტების აღებასთან, სასწავლო კურსზე რეგისტრაციასთან, ცხრილთან დაკავშირებით) მოგვარება ფაკულტეტის და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.

ლექტორებსა თუ ადმინისტრაციულ სამსახურებთან სტუდენტების კომუნიკაცია პირადი შეხვედრებით ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით მიმდინარეობს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ შესაბამისი სამსახურები მუშაობენ ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნაზე, სადაც სტუდენტები შეძლებენ მათთვის აუცილებელი ინფორმაციის (შეფასების, საგნის სილაბუსების, სასწავლო მასალის შესახებ) მიღებას შეუფერხებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პროგრამების კატალოგი ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ ელექტრონული სისტემის შექმნის შემდეგ მასთან წვდომის ინდივიდუალური გვერდები/პროფილები შეიქმნას როგორც სტუდენტებისთვის, ისე ლექტორებისთვისაც. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა იქნება კომუნიკაციის ეფექტური მედიუმი, რომლის მეშვეობით სტუდენტს მიეცემა საშუალება ლექტორთან კონსულტაცია გაიაროს ონ-ლაინ რეჟიმში. ასევე მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია თუ სასწავლო მასალა. აღნიშნული პლატფორმა სასწავლო პროცესს ბევრად მოქნილსა და ეფექტურს გახდის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური ხასიათის მუშაობა. საკონსულტაციო საათები სემესტრის დასაწყისში

დგინდება და მის შესახებ ინფორმაციის მიღება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებიდან არის შესაძლებელი. სსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის - პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობრივი სარგო და სახელფასო დანამატის ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსულტაციო საათების ჩატარება. სადოქტორო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში მითითებულია კომპონენტის განმახორციელებლის (მოწვეული, აკადემიური) საკონტაქტო ინფორმაცია, რაც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას ინდივიდუალურად შეათანხმოს შეხვედრა შესაბამის ლექტორთან/პროფესორთან. ინტერვიუებისას სტუდენტები აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ აქვთ ინდივიდუალური კომუნიკაცია ლექტორებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - აკადემიური პროგრამების კატალოგი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - აკადემიური საბჭოს დადგენილებები - ინტერვიუ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი/აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასებისა და ინტერვიუს მიხედვით დაწესებულება აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილებას ასაბუთებს იმ აქტივობებით, რაც ფაკულტეტზე ხორციელდება. ესენია სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, საჯარო ლექციები, ტრენინგები სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პრაქტიკები, სამეცნიერო ექსპედიციები, ლაშქრობები, ექსპედიციები, შეჯიბრებები „სად? რა? როდის?“, სხვადასხვა სახის პროექტები, შეხვედრები საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, სპორტისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების, აგრეთვე, დასვენების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების სერვისების ორგანიზებისთვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სსუ წესდებითა და სსუ სტუდენტური თვითმმართველობის დებულებებით.

უნივერსიტეტში არსებობს დარგთან დაკავშირებული სპეციალიზაციის ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტების განხორციელება. თუმცა აღნიშნულის სრულყოფისა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისთვის დამატებითი მატერიალურ-ფინანსური რესურსებია საჭირო.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის არსებობის პერიოდში, მის ფარგლებში არ განხორციელებულა პროგრამის მიზნების შესაბამისი სამეცნიერო საგრანტო პროექტი. საგრანტო დაფინანსების გარეშე ძნელად წარმოსადგენია სადოქტორო ნაშრომის ხარისხიანი და წარმატებული შესრულება.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორატორიასთან. ეს ლაბორატორია ორიენტირებულია კვების პროდუქტების და სურსათის მიკრობიოლოგიურ გამოკვლევაზე. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს შესაბამისი თემატიკის არსებობის შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ აღნიშნული ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც დადებითი ფაქტორია ამ კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების პროგრამები (განთავსებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე).
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს აქტივობები დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიებისა (საგრანტო პროექტების წარდგენის ან სხვა აქტივობების საშუალებით) და ლაბორატორიების უკეთ აღჭურვის მიზნით
- გაფართოვდეს თანამშრომლობები სპეციალიზაციის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე კვლევით ცენტრებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
☐ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
☐ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
☐ არ არის
შეფასება
☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე და მის პრიორიტეტს წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებას მოჰყავს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. 2009 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში "TEMPUS", ERSAMUS MUNDUS, ERSAMUS +. სტუდენტებთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ ორი მათგანი უახლოეს პერიოდში მონაწილეობას მიიღებს იენის უნივერსიტეტში დაგეგმილ ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციაში. ფინანსური ხარჯის ნაწილი კი დაიფარება უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხელშეწყობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები: ☐ არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ☐ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ არ არის
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო კომპონენტში უზრუნველყოფილია ფაკულტეტზე არსებული სალექციო და კომპიუტერული სივრცეების გამოყენებით, ბიბლიოთეკის ფონდით და საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით. ხელშეწყობილია ყველა სახის პრაქტიკული და თეორიული მომზადება და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელებისთვის დოქტორანტისთვის ხელმისაწვდომია დარგის შესაბამისი სასწავლო-მეთოდური მასალები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები,
--

ნაშრომების კრებულები მიკრობიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, პროფესიული და რეფერატული ჟურნალები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, ინტერნეტ-რესურსები და სხვა საინფორმაციო მასალები, რომლებსაც იყენებს ლიტერატურის მიმოხილვის დასაწერად).

ვიზიტის დროს აღნიშნული არ დადასტურდა. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს ლიტერატურა, რომელსაც იყენებენ დოქტორანტებთან სამუშაოდ ჩიპზე აქვთ ჩაწერილი პრივატული სახით და ეს ლიტერატურა არ დევს სახელმძღვანელობის სახით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადოქტორო ნაშრომისთვის კვლევები ხორციელდება ფაკულტეტზე არსებულ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია მიკრობიოლოგიური კვლევებისთვის საჭირო ზოგიერთი (თერმოსტატი, დაბალსიჩქარიანი ცენტრიფუგა, ამორტიზებული მიკროსკოპები, ვადაგასული რეაქტივები), მაგრამ არა თანამედროვე (70-ანი წლების, ამორტიზებული) და არასაკმარისი ლაბორატორიული მოწყობილობებით და რეაქტივებით. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, კვლევითი სამუშაოს ნაწილი, კერძოდ, მიკრობიოლოგიური ნიმუშების დამზადება ხდება მათთან, კვლევების რაღაც ნაწილი კი სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში, რომელიც პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელ ერთ-ერთ ორგანიზაციას წარმოადგენს. კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში ასევე თანამშრომლობს სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიოსამედიცინო ცენტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტისგრძელვადიანი სტრატეგიულიგანვითარებისგეგმა
- საბიბლიოთეკო ფონდები
- აუდიტის დასკვნით
- ვიზუალური დათვალიერება
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, დამსაქმებელთან

რეკომენდაციები:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (1. ლამინარ ბოქსის, 2. ბიოუსაფრთხოების კაბინეტის; 3. მაღალსიჩქარიანი ცენტრიფუგის, 4. გამართული სინათლის და ლუმინესცენტური მიკროსკოპების, 5. მიკროტალღოვანი ელექტროღუმელის, 6. სპეციალური, ტემპერატურისადმი და ქიმიური რეაქტივებისადმი გამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდის შეძენა).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): არ არის

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, კერძოდ, 1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 2 მოწვეული დოქტორი. აკადემიური პერსონალის ეს რაოდენობა მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან (2-3 დოქტორანტი) შესაბამისობაშია. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი 1.

სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობენ მიკრობიოლოგიისა მიმართულების პროფესორები. პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, ვინაიდან, თითოეული მათგანი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება, ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით და სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილებით.

სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (მიკრობიოლოგია-ბიოფიზიკა)) და ასოცირებული პროფესორი ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი (მიკრობიოლოგია)). მათი სამეცნიერო ინტერესების სფეროა ნიადაგის მიკრობიოლოგია, მიკროროგანიზმთა ქემოტაქსონომია, მიკრობული ტრანსფორმაცია, საკვები პროდუქტების მიკრობიოლოგია და ა.შ. ბოლო 10 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში, განხორციელებული აქვთ სამეცნიერო საგრანტო პროექტი, გამოქვეყნებული აქვთ რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი. ნაშრომები ძირითადად დაბეჭდილი აქვთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში (ბიოლოგიის სერია); სამეცნიერო ჟურნალში „მიკრობიოლოგია და ბიოტექნოლოგია“, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოცემა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სერია; Chemistry and chemical Engineering. მათ მიჰყავთ სასწავლო კურსები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში.

პროგრამას ემსახურება 2 მოწვეული დოქტორი. ერთი ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორია, მეორე ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ისინი მოწვეული არიან გელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტიდან

და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან „იმუნოგენი“. მათ აქვთ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მუშაობის დიდი გამოცდილება. არიან რამდენი ათეული სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების ავტორები. ჩართული იყვნენ არა ერთი სამეცნიერო პროექტის (გრანტის) განხორციელებაში. ფლობენ საავტორო მოწმობებს და პატენტებს. იყვნენ არა ერთი დისერტაციის ხელმძღვანელი და ოპონენტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სტანდარტებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნებოდა აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავება, თუნდაც პროგრამის კურსდამთავრებულების მიწვევა და ჩართვა პროგრამის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროფესორ-მასწავლებელთა პირადი საქმეები ○ ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ○ შრომითი ხელშეკრულებები ○ CV –ები ○ საკონფერენციომასალები ○ სერტიფიკატები ○ ყოველწლიური მოკლე სამეცნიერო ანგარიშები. ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავება, თუნდაც კურსდამთავრებულების პროგრამის განხორციელებაში მიწვევით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომოხილვა და ანალიზი

მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამა ხორციელდება სსუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბაზაზე. უნივერსიტეტის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება დოქტორანტურისა და მაგისტრატურის განყოფილების დებულებით, ფაკულტეტის დებულებით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომლებიც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებულია სსუ-ის წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოზე.

ფაკულტეტის მართვა/ადმინისტრირება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით.

ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას, ახორციელებს სსუ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

დეკანის მოადგილე ახდენს სპეციალობების, მოდულების, სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროცესის ცხრილის შემუშავების კოორდინირებას; ფაკულტეტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტი აერთიანებს საფაკულტეტო მნიშვნელობის ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მონაწილეობს სწავლების ახალი პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცებაში; ახდენს ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებას; უზრუნველყოფს ECTS სწორ გამოყენებას, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზებას; ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდების მოდიფიცირებას ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე და შეფასების სწორი გამოყენების მონიტორინგს; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებას ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე; თვითშეფასების პროცესისათვის შესაბამისი კითხვარების შემუშავებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების მიხედვით; ფაკულტეტზე თვითშეფასების პროცესის განხორციელებას; პერიოდულ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ადმინისტრაციულ პერსონალთან, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუმ დაადასტურა ფაკულტეტის დეკანის კვალიფიკაციის შესაბამისობა ფუნქციებთან, რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ის ნაწილობრივ არის გარკვეული თავის ვალდებულებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები

○ დოქტორანტურისა და მაგისტრატურის განყოფილების დებულება ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიკრობიოლოგიის აქტუალურ და თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აკრედიტაციის პერიოდში სავალდებულო წიგნადი ფონდი, სასწავლო-მეთოდური მასალა განახლდა უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, ელექტრონული წიგნებით. ეს რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ბიბლიოთეკაში და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულმა ვიზიტმა არ დაადასტურა აღნიშნული. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული იყო ჩიპზე ჩაწერილი წიგნები პრივატული სახით და ამ წიგნებს შორის არ აღმოჩნდა სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელო. სადოქტორო პროგრამის შემოწმების განხორციელებისას აღმოჩნდა, რომ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ვერ ასახავს დარგის აქტუალურ და თანამედროვე მიღწევებს. ლიტერატურა მნიშვნელოვნად მოძველებულია. არსებობს ზოგიერთი ძირითადი მითითებული სახელმძღვანელოს მრავალჯერ განახლებული ვერსიებიც. რაც

შეეხება ქართულ ენაზე გამოცემულ ახალ ლიტერატურას, რაც სილაბუსებშია მითითებული, მივესალმებით, თუმცა მათი დანიშნულება შესაბამისობაში არაა სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებთან. ისინი თავისი ზომით, შინაარსით საბაკალავრო სწავლების საფეხურისთვის გათვალისწინებული წიგნებია და ჩართულია აგრარული უნივერსიტეტში მიკრობიოლოგიის საბაკალავრო სწავლების პროგრამაში.

ქვემოთ ვაკოპირებთ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პროფესიული საგნების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო ლიტერატურას:

თანამედროვე მიკრობიოლოგია

სავალდებულო ლიტერატურა

1. Joseph W. Lengeler, Gerhart Drews, Hans G. Shlegel - *Biology of the procariotes* - Thieme Stuttgart, New York, 1999.
2. მ. ნათიძე, ს. რიგვავა, ზ. ლომთათიძე, თ. ნათიძე - ზოგადი მიკრობიოლოგიის საფუძვლები - გამომცემლობა „ი.მ.გ. დალაქიშვილი“, თბილისი, 2016 წ.
3. დამატებითი ლიტერატურა
1. Мишустин Е.Н., Емцев В.Т. – *Микробиология* – Москва, Агропроиздат, 1987.
2. М.В. Гусев, Л.А. Минеева – *Микробиология*, Изд. Московского университета, 2003г.
3. В.В. Лысак – *Микробиология* – Минск, БГУ, 2005.
4. А.В. Пиневиц – *Биология прокариот* – Т. 1,2,3 – Изд. Санкт – Петербургского Университета, 2006г.

თანამედროვე ბიოტექნოლოგია

სავალდებულო ლიტერატურა

1. John E. Smith – *Biotechnology* – Cambridge University press, 2009.
2. არსებობს ამ წიგნის თარგმანი (სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, პროფ. ნანა დვალისვილის მიერ შესრულებული)
1. Н.А. Войнов, Т.Г. Волова, Н.Б. Зобова, С.В. Маркова, Л.А. Франк, Е.И. Шишанская – *Современная биотехнология* - Красноярск, ИПК СФУ, 2009.
3. მ. გაბელაშვილი - ბრეგაძე - მიკრობული ტექნოლოგია - ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2014.

დამხმარე ლიტერატურა

1. Мишустин Е.Н., Емцев В.Т. – *Микробиология* – Москва, Агропроиздат, 1987.
2. М.В. Гусев, Л.А. Минеева – *Микробиология*, Изд. Московского университета, 2003г.
3. В.В. Лысак – *Микробиология* – Минск, БГУ, 2005.
5. А.В. Пиневиц – *Биология прокариот* – Т. 1,2,3 – Изд. Санкт – Петербургского Университета, 2006г.

მოლეკულური მიკრობიოლოგია

სავალდებულო ლიტერატურა

1. А.Г. Сабельникова – *Молекулярная микробиология*, Изд. Мир. Москва, 1977г.
2. Л. Зензбуш – *Молекулярная и клеточная биология*, Изд. Мир. Москва, 1982 г., т.2.
3. ზ. ლომთათიძე - მოლეკულური მიკრობიოლოგია - სალექციო კურსი, რიდერი.

დამხმარე ლიტერატურა

1. Б. Альбертис и др., - *Молекулярная биология клетки*, Изд. Мир. Москва, 1986 г.
2. Дж. Девидсон – *Биохимия нуклеиновых кислот* - Изд. Мир. Москва, 1982 г.
3. Н.Р. Елинов – *Химическая микробиология* – Высшая школа, Москва, 1989 г.

თანამედროვე ვირუსოლოგია

სავალდებულო ლიტერატურა

1. Б. Филдс, Д. Хап - *Вирусология* - Москва, Мир, 1989, т.1.
2. Б. Филдс, Д. Хап - *Вирусология* - Москва, Мир, 1989, т.2.

3. მ. ნათიძე, ს. რიგვავა, დ. გოდერძიშვილი, მ. სოხაძე, ნ. ფაღავა- ზოგადი ვირუსოლოგია - გამომცემლობა „ი.მ.გ. დალაქიშვილი“, თბილისი, 2015 წ.

დამხმარე ლიტერატურა

1. Ф. Коротяева - Медицинская микробиология и иммунология и вирусология Санкт-Петербурга, Специальная литература 1998г.
2. Б. Мейхи - Вирусология, Москва, Мир, 1999г.
3. А.Г. Букрынская - Вирусология, Москва, Медицина, 1989г.
4. მ. ნათიძე, ტ. გაბისონია, ს. რიგვავა - ზოგადი ვირუსოლოგია, თბილისი, 1996წ.
5. А.Г. Букрынская, В.М., Жданов - Молекулярные основы патогенности вирусов, Москва Медицина 1991г.
6. Н.В. Медуницын - Вакцинология, Москва, Триада-Х, 1999г.

მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები

სავალდებულო ლიტერატურა

1. Josephine A. Morello Paul A. Granato Helen Eckel Mizer - Laboratory Manual and Workbook in Microbiology - ISBN: 0-07-246354-6 Description: ©2003 / Spiral Bound/Comb / 304 pages Publication Date: June 2002.
2. Е.З. Теннер, В.К. Шильникова, Г.И. Переверзева – Практикум по микробиологии – Изд-во Дрофа, Москва, 2004г.
3. ზ. ლომთათიძე, ნ. კოტია, ი. გოროზია - მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები - ელექტრონული ვერსია - რიდერი.

დამატებითი ლიტერატურა

1. Ф. Г. Герхардт - Методы общей бактериологии, 1983, т1.
2. Ф. Г. Герхардт - Методы общей бактериологии, 1983, т2.
3. Ф. Г. Герхардт - Методы общей бактериологии, 1983, т3.
4. Г. Л. Селибер - Большой практикум по микробиологии, 1962.
5. П. Г. Бранцевич, Л. Н. Лысенко и др., - Микробиология практикум, 1987г.

იმუნოლოგია

სავალდებულო ლიტერატურა

1. John B. Zabriskie - Essential Clinical Immunology - Cambridge University Press, 2009.
2. მ.ნათიძე, ს. რიგვავა, დ. გოდერძიშვილი, ნ. ფაღავა - იმუნიტეტი - თბილისი, 2011 წ. 65 გვ. არსებობს თინა ჩიქოვანის იმუნოლოგია, 2017 წელი

დამხმარე ლიტერატურა

1. P. Циркеннагель – Основы Иммунологии – М., Мир, 2008 г. 120 с.
2. Judith A. Owen, Jenni Punt, Sharon A. Stranford, Patricia P. Jones – Immunology - W. H. Freeman and Company • New York, 2013.
3. Guus van der Bie MD – Immunology - Louis Bolk Instituut, c/o Beeldrecht Amsterdam, 2006.

ბიბლიოთეკა სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზებით ემსახურება განათლების ყველა საფეხურის სტუდენტს. ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს OPAC ელექტრონულ კატალოგს, რაც მაქსიმალურად ხელმისაწვდომს და ადვილად გამოყენებადს ხდის უნივერსიტეტში არსებულ საინფორმაციო რესურსებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ელექტრონული ბიბლიოთეკით, სადაც კატალოგში კატეგორიების მიხედვით შესაძლებელია საჭირო სახელმძღვანელოს მოძიება სასწავლო კურსის მიხედვით. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს მსოფლიოში ცნობილ აკადემიურ ბაზებს, ასევე ინდექსებისა და აბსტრაქტების ბაზებს, ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და სხვა ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფს მაღალი დონის კვლევის ჩატარებას და ხარისხიანი სწავლების განხორციელებას. აღნიშნული ბაზები დოქტორნატს

საშუალებას აძლევს მოიპოვოს საკვლევ თემასთან დაკავშირებული რელევანტური ლიტერატურა/წყაროები, რათა შეძლოს ლიტერატურის მიმოხილვის შექმნა სადისერტაციო ნაშრომისთვის. ვიზიტის დროს არ გამოიკვეთა რამდენად იყენებს დოქტორანტები და აკადემიური პერსონალი ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ აღნიშნულ ბაზებს და OPAC ელექტრონულ კატალოგს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა - www.elibrary.sou.edu.ge ○ სილაბუსები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ○ გადაიხედოს და განახლდეს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. ○ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომი დოქტორანტისთვის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, საუნივერსიტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომით ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან,
--

ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, თუმცა კონკრეტულად რა რაოდენობის თანხაა პროგრამის განვითარებისთვის, დოქტორანტების კვლევითი სამუშაოების წარმოებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტში ცალკე გამოყოფილი არ არის. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის საფასური ყოველწლიურად 2000 ლარია და სწავლისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება არ არსებობს. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა მათ დათვლილი აქვთ, თუ რა რაოდენობის თანხა სჭიდება 1 დოქტორანტს სწავლის სხვადასხვა აქტივობების (მაგ: სამეცნიერო მივლინება, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება და სხვა) განსახორციელებლად და ეს თანხა 3500 ლარია. თუმცა მან ვერ დააზუსტა უნივერსიტეტი ამ თანხით სრულად აფინანსებს დოქტორანტს, თუ ეს ხდება თანადაფინანსებით, თუ დოქტორანი საკუთარი შემოსავლებით აგვარებს მის მიერ განსახორციელებელ ყველა აქტივობას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი დოქტორანტების დაფინანსებისთვის საჭირო კონკრეტული თანხის რაოდენობა. SWOT ანალიზში პროგრამის განვითარებისთვის დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, მოზიდვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ექსპერტთა მიერ შეთავაზებული იყო ფინანსური მდგრადობისათვის საერთაშორისო პროექტების, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ პროექტებში აქტიური მონაწილეობის მიღება ახალგაზრდა კურსდამთავრებულებთან ერთად. თუმცა კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისთვის დამატებითი მატერიალურ-ფინანსური რესურსებია საჭირო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტით ○ SWOT ანალიზი ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის საერთაშორისო პროექტების, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული პროექტების მოპოვება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე, ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა, სამეცნიერო მუშაობის შეფასების სისტემა, პერსონალის შეფასების სისტემა და კვლევები. ამ ფუნქციების შესაფასებლად უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა ფუნქციონირებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც, რომლებიც აწარმოებენ სტუდენტების პერიოდულ ანონიმურ გამოკითხვებს კითხვარების გამოყენებით, რათა გათვალისწინებულ იქნას არსებული ხარვეზები და დაისახოს მათი გამოსწორების ეფექტური გზები.

როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები და ამ შედეგების ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები ხელმისაწვდომი ხდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალისთვის, რაც იძლევა პროგრამის სუსტი მხარეების გასწორების და პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს პროგრამების კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის გამოკითხვას. გამოკითხვისას ფოკუსირება ხდება პროგრამის ეფექტურობაზე კარიერის დაწყებისა და განვითარებისთვის, ფასდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილება გავლილი აკადემიური პროგრამით. დამსაქმებლის გამოკითხვისას აქცენტს აკეთებს, თუ რამდენადაა დასაქმების ბაზარი კმაყოფილი უნივერსიტეტის, კონკრეტული პროგრამის მიერ მომზადებული კადრით და რამდენად კვალიფიციურად მიიჩნევს მას და კონკურენტუნარიანია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზემოთ აღნიშნული მონაცემების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებელთან ერთად ქმნის პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს.

სადოქტორო პროგრამამ „მიკრობიოლოგია“ აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა განახორციელა ხარისხის უზრუნველყოფის „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი. როგორც სადოქტორო პროგრამის „მიკრობიოლოგია“ ხელმძღვანელებმა აღნიშნეს 2013 წლის აკრედიტაციის შემდეგ დაიხვეწა სადისერტაციო ნაშრომების თემატიკები და უკვე შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, კერძოდ, გახდა გამოყენებითი ხასიათის კვებით მრეწველობაში. ამასთან გაუმჯობესდა კვლევითი გარემო მიკრობიოლოგიური ნიმუშების დამზადებისთვის, თუმცა როგორც თვითშეფასების ანგარიშში, SWOT ანალიზშია აღნიშნული, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვლევითი გარემო დოქტორანტებისთვის საჭიროებს გაუმჯობესებას.

შეკითხვაზე, რამდენად იყო 2013 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გათვალისწინებული პროგრამის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, პასუხი ვერ მივიღეთ. ამასთან სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ არსებითად გასული აკრედიტაციისას გამოვლენილი რიგი პრობლემები მიმდინარე პერიოდშიც არ არის გამოსწორებული. მაგალითად, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, კრედიტების განაწილების საკითხი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჯგუფთან ერთად აქტიურად იმუშავა თვითშეფასების კითხვარის შევსებაზე და თანდართული დოკუმენტაციის მომზადებაზე. პროგრამის მონიტორინგმა ვერ აჩვენა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა პროგრამების ხელმძღვანელებთან და ჩართვა პროგრამების კურიკულუმებისა და სილაბუსების შექმნის (განახლების) პროცესში და მათი მოყვანა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების კითხვარი
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა პროგრამების ხელმძღვანელებთან და ჩართვა პროგრამების კურიკულუმებისა და სილაბუსების შექმნის (განახლების) პროცესში და მათი მოყვანა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებული სხვადასხვა ტიპის

კვლევების გამოყენება პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენისას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- 2013 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია „სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია ერთ ან ორი რუსულენოვანი სახელმძღვანელო. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს აღნიშნული ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები რუსულ ენაზე, თუმცა სასურველია გაიზარდოს ლიტერატურის ჩამონათვალი. მითუმეტეს როცა საქმე ეხება სადოქტორო პროგრამას. ასევე აუცილებელია არსებული ლიტერატურა ითარგმნოს ქართულ ენაზე, რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ხოლო რუსულენოვანი ლიტერატურის წაკითხვა ნებისმიერი დოქტორანტისთვის არ იქნება მარტივი“. რა შეიცვალა – სილაბუსების უმეტესობაში ლიტერატურის ჩამონათვალი არ არის ვრცელი, ისევ შეტანილია მოძველებული რუსულენოვანი ლიტერატურა, ვერ ვიხილეთ მათი თარგმანები, უფრო მეტიც, პროგრამაზე მიღების წინაპირობა გახდა ორიდან ერთ-ერთის - ინგლისური ენის ან რუსული ენის B2 დონეზე ცოდნა.
- იყო რეკომენდაცია კრედიტების განაწილების შესახებ – „პროგრამაში სავალდებულო დისციპლინებზე „თანამედროვე მიკრობიოლოგია“ და „მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები“ 18 და 12 კრედიტია გათვალისწინებული, ხოლო რაც შეეხება პროფესორის ასისტირებას და სემინარებს 3-3 კრედიტი, შესაბამისად სასურველია გადაიხედოს კრედიტების განაწილების საკითხი და გაიზარდოს პროფესორის ასისტირებისა და სემინარების კრედიტების რაოდენობა“. რა შეიცვალა – „თანამედროვე მიკრობიოლოგია“ 18 კრედიტის ნაცვლად გახდა 12 კრედიტი და მოკლებული 6 კრედიტი დაემატა პროფესორის ასისტირებას და გახდა 9 კრედიტი. „მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები“ დარჩა 12 კრედიტი, ხოლო სემინარების 3-3 კრედიტი.
- რეკომენდაცია იყო გაცემული „აკადემიური წერის“ სილაბუსში შეფასებასთან დაკავშირებით. ისევ რჩება შენიშვნა შუალედური გამოცდაზე 5 ქულიანი საწერი საკითხისა და დასკვნით გამოცდაზე 10 ქულიანი საწერი საკითხის შეფასების რუბრიკა ერთიდაიგივეა.
- გაცემული რეკომენდაციებიდან გასწორდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დავალების ფორმა. ის გახდა კომბინირებული (ტესტი და საკითხი) და აღარ არის მხოლოდ ტესტი ან საკითხი.
- იყო რეკომენდაცია „შეუძლებელია ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსს აბსოლუტურად იდენტური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კომუნიკაციის უნარი, დასკვნის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები ჰქონდეს. აუცილებელია მათი ჩამოყალიბება თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (განსაკუთრებით ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი)“. შეიცვალა – სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნები გადის მხოლოდ ორ შედეგზე ცოდნა და გაცნობიერება, დასკვნის უნარი, მხოლოდ ერთი საგანი ავითარებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს.

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“, რომელიც აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემას, სასწავლო პროცესის შეფასების სისტემას, სამეცნიერო მუშაობის შეფასების სისტემას, პერსონალის შეფასების სისტემას, პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული) აზრის და დამოკიდებულების კვლევას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარები (პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, შიდა და გარე ექსპერტის დასკვნა, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა და რეკომენდაციები), რომელთა გამოყენებით ის აწარმოებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიზნობრივ გამოკითხვებს. კითხვარების ნიმუშები თანდართული დოკუმენტების სახით იყო მოწოდებული. მათი გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ კითხვარების გამოყენებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს რამდენად მოსწონს სტუდენტს უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო, რამდენად გამჭვირვალეა სასწავლო კურსებში ჩადებული შეფასების წესები, გამართულია სწავლების მეთოდები და კურსის გავლის შემდეგ გადის დაგეგმილ შედეგებზე, რამდენად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები და ა.შ. როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, ჩატარებული კვლევების შედეგები გათვალისწინებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, პროგრამის განსაახლებლად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობის უკეთ დასაგეგმად, პროგრამაში სასწავლო და კვლევით კომპონენტში არსებული ნაკლოვანებების გასასწორებლად. ინტერვიუს დროს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სამსახურის მოვალეობებზე საუბრისას მოკლედ ისაუბრა გამოკითხვების შესახებ, თუმცა მან ვერ განმარტა რამდენად ეფექტურად ხორციელდება ეს პროცესი უნივერსიტეტში, იძლევა რეალურ შედეგებს და რამდენად ეხმარებათ და იყენებენ მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს.

სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. ცხადია, აკადემიური მოსწრების ანალიზის გარდა, სასწავლო პროცესის შეფასებისას

მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის: აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის და სტუდენტების, გარკვეულ შემთხვევებში დამსაქმებლის და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რასაც პერიოდულად ატარებენ უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები. ინტერვიუს დროს ვერ მოვისმინეთ კონკრეტული მაგალითები, თუ რა ცვლილებები განახორციელეს გამოკითხვებით მიღებული შედეგების საფუძველზე. პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის/ უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში. გარე შეფასების შედეგები ასევე გათვალისწინებულია პროგრამის განვითარებისათვის. სადოქტორო პროგრამამ „მიკრობიოლოგია“ გარე შეფასება, აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა განახორციელა ხარისხის უზრუნველყოფის „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი, თუმცა სადოქტორო პროგრამაში მაინც პრობლემად დარჩა რიგი საკითხები. მაგალითად, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, კრედიტების განაწილების საკითხი. სადოქტორო პროგრამის „მიკრობიოლოგია“ მონიტორინგმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა უნდა გააქტიურდეს და დოკუმენტი „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“ გახდეს შესაბამისი სამსახურების მიერ აქტიურად განხორციელებადი დოკუმენტი, რათა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები იყოს მაღალი ხარისხის, რაც გაზრდის უნივერსიტეტის ცნობადობის მაჩვენებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის შემუშავებული კითხვარები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) – არ არის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო პროგრამა „მიკრობიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება			X

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო პროგრამა „მიკრობიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება			X

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:



ნ. კ. ჯ.